**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ბრძანება N** 01-02/293

ქ. ბათუმი 14 **დეკემბერი, 2022 წ**

**2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში კროსნოს კარპატების, ვროცლავის და კრეტას ხმელთაშუაზღვის უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური/ადმინისტრაციული/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ,,ERASMUS + საგრანტო პროექტის და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის **2022 წლის 13 დეკემბრის** MES 3 22 0001595509სამსახურებრივი ბარათის **საფუძველზე**

**ვბრძანებ:**

1. ,,2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში კროსნოს კარპატების, ვროცლავის და კრეტას ხმელთაშუაზღვის უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე აკადემიური/ადმინისტრაციული/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტთა გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:**

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისთვის ელექტრონულ ბმულზე https://registration.bsu.ge/Registration-2.php და ელექტრონული პლატფორმა eflow-ს მეშვეობით, მოწვეული მასწავლებლებისთვის - ელ.ფოსტაზე - chancellery@bsu.edu.ge, ხოლო სტუდენტებისთვის - ელექტრონულ ბმულზე https://registration.bsu.ge/Registration-2.php და სტუდენტური პორტალის მეშვეობით **2022 წლის 14 დეკემბრიდან – 21 დეკემბრის ჩათვლით 15:00 საათამდე.**
ბ) საბუთების შემოწმება და შეფასება - **2022 წლის 22 დეკემბერი, 10:00-12:00 საათი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი);
გ) ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში ((B1, B2) - **2022 წლის 22 დეკემბერი** (ზუსტი დრო დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე);
დ) გასაუბრება კომისიასთან - **2022 წლის 23 დეკემბერი, 12:00 საათი;**
ე) საბუთების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტებში - **2022 წლის 23 დეკემბერი.**
2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) მერაბ ხალვაში - თავმჯდომარე, რექტორი;
ბ) ანზორ ბერიძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე;
გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე;
დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ე) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი;
ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ბსუ-ს ერაზმუს+ კოორდინატორი;

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში ( მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

**რექტორი, პროფესორი** **მერაბ ხალვაში**